9 მარტი. 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 30 ყოველკვირეული ჟურნალი № 30

„ნიშადურის“ შემდეგი ნომრები გამოვა

კვირაში ორჯერ

— **ხუთშაბათოლგით** და
— **კვირაოლგით.**

წლიური ფასი 5 მან. ნახევარის წლით 3 მან.

საალდგომოთ წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდება **ნობათად**

ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი

და **„ნიშადურის კრებული“** (მეორე წიგნი).



Karl Heinrich Marx (**კარლ მარქსი**).
(დაიბადა 1818 წ. გარდაიცვალა 1883 წ.)
გამოჩენილი სოციოლოგი, ეკონ. და პოლიტიკური მოღვაწე.

სიყვარული მუნჯია — მაკოვსკის ნახატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალ-დემოკრატია სოფლად

(შემდეგი)

VII

დაგვრჩა ერთი დარგი იმ მრავალგვარ ბოროტმოქმედებათა და სიზიზღრობათა, რომლებიც წინა წერილებში ავწერე. ეს დარგია—მკვლელობა და წამება. კაცის კვლა ისე გახშირებული იყო, მომეტებულად ქართლში, უთავბოლო და უმიზეზო კვლა და წამებათი ადგილი საქმე შეიქნა, ისეთ სენათ გადაიქცა, რომ თავზარი დასცა არამც თუ თავად-აზნაურობას, რომელსაც სასტიკი ომი გამოუცხადეს და მოდად დედიანბუდიანად გაწყვეტას უქადდნენ, არამც თუ იმ ჯურის ხალხს, რომელნიც არ თანაუგრძნობდნენ მოძრაობას, ეწინააღმდეგებოდნენ ყოველ მათ მოქმედებას, ჯაშუშობდნენ, მთავრობას ეკედლებოდნენ და სხვა. თავზარი დასცა მოძრაობის ყველა აქტიურ მომქმედს, მშვიდობიან მცხოვრებს და იმ გლეხსაც კი, რომლისთვისაც ხდებოდა ყველა ეს. წინა წერილებში ვსთქვი და კიდევ გავიმეორებ, რომ არც გლეხის მტერი, რომელსაც სასტიკად სჯიდა რევოლიუცია და არც თვითონ გლეხი და არც მისი კეთილის მოყვი, არავინ არ იყო უზრუნველყოფილი მოკვლა-განადგურებისაგან და ვერავინ იტყოდა თამამად, რომ მას არ მოელის სიკვდილი რაზმელ-ბრაბანდისტებისაგან. საკმარისი იყო მეზობლის დაბეზღება, ჩაჩურჩულება, მტრული წაქეზება, გაზეთის საშუალებით ორიოდ სიტყვით ცილის დაწამება. საკმარისი იყო ხშირად ორი-სამი მანათი, დუქანში დაპატიჟება, რომ მეორე დღესვე დასახული მსხვერპლი გამოუძიებლად და დანაშაულობის დაუმტკიცებლად მხეცურად მოეკლათ, ან უწამებინათ.

აღმიანის მოსაკლავად ვინც უფრო მხეცურ საშუალებას იხმარდა, ვინც მეტად აწვალებდა და აწამებდა თავის მსხვერპლს. ვინც უფრო მეტ შეუბრალებლობას, გულ-ქვაობას გამოიჩენდა, პირველ რევოლიუციონერად ხალხის საუკეთესო მეგობრად ის ითვლებოდა. და ჯიბისა და პატივის მოყვარულს რაზმელ-ბრაბანდისტები, რასაკვირველია, ერთი-ერთმანერთს ეჯიბრებოდნენ და მათი სურვილი ცდა ის იყო, რომ „ულმობელი მსაჯულის“ სახელი დაემსახურებინათ და ყველასთვის თავზარი დაეცათ. განსამარტავად და დასამტკიცებლად მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს.

სოფლის დუქანში ერთი ტერორისტი ტრაბახობდა თავის ამხანაგებში: ერთი ჯაშუში მოგვკალი ქუჩაში. უკანიდან მიეპარე და ხანჯალი კისერში ჩავეცი. რა წაიქცა, მიეფალი, დავეწაფე იმ ადგილს, საიდანაც სისხლი გადმოსდიოდა, და დავლიეთ ვერ იყო გემრიელი, რკინის გემო ჰქონდა, მაგრამ მე დიდის სიამოვნებით დავლიეთ.

სოფელ მ—ში (გორის მაზრაშია) რეაქციის დროს კაზაკებმა მოჰკლეს ერთი რაზმელი და ჯიბეში უპოვნეს ადამიანის რვა სალოკი თითი. ეს იმის მაჩვენებელია, რომ რვა კაცი მოუკლავს. ეს თითები ამ ადამიანს და უჯიოთ ადამიანს მუდამ ჯიბეში ჰქონდა თურმე და თუ ვისთანმე შელაპარაკებოდა, ამოიღებდა ჯიბიდან ამ თითებს და გადაუშლიდა: შენ იცი, მე ვინა ვარო?! მის მაგალითს ბევრი ბაძავდა თურმე სოფლად ზოგს ადამიანის ეურები ჰქონდა ქალალდში გახვეული და ჯიბეში შენახული, ზოგს ცხვირები და ყველს ამით თავი მოჰქონდა და „ამხანაგებიც“ ტაშს უკრავდნენ, განუსაზღვრელ პატივსა სცემდნენ და ადარ იცოდნენ რითი დაეჯილდოებინათ ამგვარი „გმირები“.

ქეთოს დროს ერთმა რაზმელმა, რომლის ერთი სახელის გაგონება ყველას თავზარსა სცემდა, ჯიბიდან ამოიღო ადამიანის თითები, ხიროში ჩაიდო და წუწვნა დაიწყო. ამით იმას უნდოდა ეთქვა: მიყურეთ, რა მხეცი ვარ! ყველას გეშინოდეთ ჩემი! იქ მყოფნი შეძრწუნდნენ და ზიზღით თავს არიდებდნენ. რაზმელმა კი თავმოწონებულ თითები ისევ ქალალდში გაახვია და ჯიბეში ჩაიდო.

ამ გვარად მოკლულ იყვნენ ქართლში, გლეხები და სხვა და სხვა კლასის ხალხი რომ არ ჩავთვალოთ, მარტო თავადი და აზნაური ას-ოტ კაცზე მეტი.

სოფ. დ—ში მოჰკლეს აზნაური გ. დ—შვილი. მოკლული სამი თვე იყო გორის მაზრის თავად-აზნაურთა მილიციაში, რომელსაც ხალხმაცა და ბრალსაც „შავი რაზმი“ უწოდა. ამ მილიციამ ვერ შეასრულა თავის მიზანი, რამდენიმე ხანი იმოქმედა და შემდეგ დაიშალა. მილიციონერები დაუბრუნდნენ თავთავიანთ ოჯახებს დაბრუნდა თავის ოჯახში დ—შვილიც და რადგან დ—შვილმა კარგად იცოდა, რა თვალით უყურებდა ხალხი ამ მილიციას, სოფლის ერილობაზე მივიდა და ხალხს გამოუცხადა: თუმცა არავისთვის არაფერი დაგვიშავებია, არავინ გაგვიძარცვავს, არავინ მოგვიკლავს, ჩემ თავს მაინც დანაშაულად ვსთვლი, რომ თქვენ გაგშორდით და თავად-აზნაურშვილების მილიციაში ჩავწერე (გ—შვილი მეტად ღარიბი აზნაური იყო და სიმდიდრით სოფელში მას ბევრი გლეხი სჯობდა). მაპატიეთ ჩემი დანაშაულობა და მომეცით ნება ჩემ სოფელში ცხოვრებისა. ამასთან მოიტანა ორი ბერდანის თოფი პატრონებით და გადასცა ხალხს. ხალხმა სჯართ აპატია გ—შვილს წარსული და ამასთან ხალხისვე სურვილით და ნება-დართვით ის ჩაირიცხა „წითელ რაზმში“. მაგრამ „წითელ რაზმელებს“ „შავ რაზმში“ სამი თვით ეოფნა მაინც ვერ ეპატიებინათ გ—შვილისთვის. ერთ სადამოს მისმა ახალმა „ამხანაგებმა“ მიიწვიეს ის იმავე სოფლის მთავრის სახლში „ქალალდის სათამაშოდ“ და როგორც კი ფეხი შესდგა ოთახში, რამდენიმე კაცმა თოკი შემოახვია კისერზე, გაიწ-გამოიწიეს და ძალიგვით გაუთრიეს კარში და თოკი, არცკი მოხსნეს, ზედ გზაზე თოვლზე დაგდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოფდი დიდი იყო და სოფლელები მარხილებით დადიოდნენ ამ გზაზე. რაზმელებმა გასტეს სასტიკი ბძანება: არავინ არ გაბედოს არამც თუ მისი სახლში წადება და დამარხვა, ხელი არავინ ახლოს და გზიდან არ გადაათრიოს, ეგდოს ასე, როგორც გდია, და მარხილებით ზედ მკვდარზე იარეთო. რამდენიმე დღის განმავლობაში თოფდით გადასიდულსა და გაყინულ გვამზე ხალხი მარხილებით გადადიოდ-გადმოდიოდა.

სოფ. დვ—ში მოჭკლეს თავადი გ. ფ—შვილი. ზავხუდის დღეს ფ—შვილი თავის ვენახში მუშაობდა. რაზმელები გადაუცვივდნენ და რამდენიმე ტყვიით მოჭკლეს, შემდეგ სოფელს გამოუცხადეს, ახლოს არავინ არ გაეკარონ, და არავინ დამარხოსო. მოკლულს ბევრი ნათესავები ჰყავდა, მაგრამ ვერავინ ვერ გაბედა სახლში შემოტანა და დამარხვა. ერთ დამეს რამდენიმე მისი ნათესავი ქალი შეეხარა ვენახში და ცხედარი სახლში მოასვენეს, მაგრამ სოფლავის გამოხრელი რომ არავინ ჰყავდათ, ცხედარი კიდევ რვა დღე ესვენათ სახლში. შუაგული მკათათვე იყო. ცხედარი მთლად დაიშალა და გაიხრწნა. მხოლოდ ათის დღის შემდეგ როგორც იყო საბძელში გათხარეს მიწა, ასოასოთ მოაგროვეს და მიწას მიაბარეს.

რად მოჭკლეს და ისიც ისე უდმერთოდ? იკითხავს მკითხველი.—არავინ არ იცის რად! ფ—შვილი მეტად დარიბი თავადიშვილი იყო, მშვიდი, უწყინარი, როგორც ამბობენ, ჭიას ფეხს არ დაადგამდა. გლეხებმა დალა ადარ მისცეს, მისი მამული დაისაკუთრეს, მაგრამ ხმა არ ამოუღია და არც არსად უჩივლია. სოფელი წინად ემადრიელებოდა, ახლა კარგად იგონებს. მაშ რად მოჭკლეს? მოჭკლეს რაზმელებმა, რადგან უნდა ეჩვენებინათ ხალხისთვის, რომ საქმეს აკეთებდნენ, რომ მათ ინტერესებს იცავდნენ, და საზოგადოდ რევოლიუციას ემსახურებოდნენ. მოჭკლეს და უთხრეს გლეხებს: აი, ჭირი მოგაშორეთ, მაგისი მამული ახლა თქვენია, აიღეთ და დაიყავითო!

ამ მიზნითვე მოჭკლეს მისივე ძმისწული ი. ფ—შვილი. მოტეუებით გაიყვანეს სოფელ კარედ, თავიდან ფეხებამდე გაძარცვეს, თავი მოსჭრეს, სარზე აგეს, ჩავიდნენ სოფელ ტ—ში და იქ იქეიფეს. სარზე ჩამოტმული თავი სუფრაზე ედოთ და ისე ქეიფობდნენ.

სოფ. ახ ში მოჭკლეს სოფელ ტ—რის მცხოვრები გლეხი გ—ძე. მოკლულს წინა დღეებში თავის მეზობელთან ჩხუბი მოუვიდა. წავიდა და ბოლიციაში უჩივლა: შარშან მაგის სახლში რაზმელებმა რამდენჯერმე დამე გაათიესო. ამ გლეხს მოასწრეს რაზმელებმა ახ—ში, დაიჭირეს და უღვოდ აწამეს. ამ საზიზღარ საქმეს უფრებდა მთელი სოფელი. რამდენიმე კაცმა გაკვა სტოდავი და ერთმა ენის მოჭრა დაუპირა. ამ მიზნით პირში ჩაუფო თითები და სტადოდა ენისთვის მოეკიდნა ხელი, მაგრამ გამწარებულმა გლეხმა ისე მაგრა მოუჭირა თითებზე კბილები, რომ დადასტურ სჩანდა სიბოროტეს სინჯლებით, მაგრამ ვერა გაწყვეტ, ბოლოს სამი ტევა დაახალეს გულში და ძირს უსულოდ რომ დაეცა, მხოლოდ მაშინ გაუნთავისუფლეს თითები ამხანაგს. ენა მაინც მოსჭრეს, შემდეგ კისერზე მოაბეს დიდი ქვა და მტკვარში გადაგდეს. დედ-მამას დღესაც ვერ უბოვნია მკვდარი შვილის გვამი.

(შემდეგი იქმნება)

ხეობელი.

გლეხის ჩივილი

კითხვა

ვინა სთქვა საქართველოზე:
ღვთისმშობლის წილხვედრიაო?
ნუ შეშინდები ქართველო,
თავი ნუ დაგიხრიაო?!.
მისი რომ ვიყოთ, მაშინ ჩვენ
ასე რად მოგვიძულებდა?
რად გაგვაძრობდა ხორცზე ტყავს
და სულს რად დაგვიწყლულებდა?
ცოცხლადვე ჯოჯოხეთში ვართ,
ვემორჩილებით ყველასა;
მარჯვნივ მივდივართ, თუ მარცხნივ,
ვერსად ვპოულობთ შველასა!
გვითხრეს: მოვიდა, ეს არის,
„ახალი მოძრაობაო“,
უნდა დამტკიცდეს „ერთობა“,
„თანასწორობა“, „ძმობაო“.
რასაც იშრომებთ, თქვენია...
რას ჰქვიან მიწის ღალაო?!
ვინც არ იწამებს ამ მცნებას,
იხმარეთ მაზე ძალაო!
რაც გვითხრეს მქადაგებლებმა
სუყველა დავიჯერეთო;
გვეგონა მათი ნათქვამი
და გულზე დავიწერეთო.
შინ დავერიეთ ერთმანეთს,
წოდება წოდებასაო;
გვეგონა, გადავრჩებოდით
მათი ძველ გოდებასაო.
გავწირეთ თავი... გავბედეთ...
ცოდვაც კი ჩავიდინეთო:
ზოგან და ზოგან უსჯულოდ
სისხლებიც დავადინეთო.
აღარ ვზოგავდით ერთმანეთს
ვიკლებდით შინაურებსა—
და თურმე ვახარებდით მტრებს!..
ჩვენზე აცქვეტდნენ ყურებსა!
მოგვაწყდა მტერი ხმალ-ცეცხლითა,
როცა ეს ყველა ნახაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალი ინებეთ! — გალკინის ნახატი.

და მიიმალნენ ისინიც,
ვინც-კი ჩვენ გაგვაძრახაო.
ზოგს გვაგზავნიდნენ, ზოგს სწავდნენ,
ზოგს შინვე სჭრიდნენ ყელსაო
და ჩვენი ცოდვა საერთოდ
მოედვა მთა და ველსაო.
ვინა სთქვა საქართველოზე:
ღვთისმშობლის წილ-ხვედრიაო?
მისი რომ ვიყოთ, მაშ მტერმა
როგორღა ჩაგვითრიაო?

—:—

პა'უხი

ვინ შიში და ვინ ქართველი,
რომ შეუკრთეს ერთსა ჭირსა?
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა“!
რომ წარსული შეგვესწავლოს
და იცოდე ისტორია,
გაიგებდი, ჩვენს წინაპრებს
თუ რა სისხლი დაულვრია.
ეროვნება—რჯულისათვის
იგერებდნენ ქვეყნის პირსა.
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა“.
მათ სატანჯველს, მათ განსაცდელს
ვერ გამოსთქვამს კაცის ენა,
მაგრამ მაინც არ იტეხდენ
გულს!.. აღსოვდათ ღმერთი ზენა!
შედარებით მაშინდელთან
დღევანდელი არად ღირსა,
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა“.
მართალია, მოგატყუესთ
აგიბნიეს გზა და კვალი,
მაგრამ მაინც თქვენი არის
სანუგეშო მომავალი,
თუ რომ გულში არ ჩაიდებთ
ერთმანერთის მტრობა-ძვირსა.
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა“.
ვინც ამბობს, რომ სულერთია
გარეშე და შინაური,
ის მტერია, ან შეშლილი!..
რად მივუგდოთ იმას ყური?..
რა ფასი აქვს იმათ სიტყვას,
ნუ იმათ დანაპირსა?
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვიტკირსა“.
ერთად-ერთი სწავლა არის
საშველი და შენი მხსნელი.
სანუგეშოს მომავალში
მისგან, მხოლოდ მისგან ველი!..
ის ასწორებს და აერთებს
გვარიშვილსა და უგვაროს.
დავეწაფოთ ყველა იმას,
ვით ზაფხულში ცივსა წყაროს.
ტყვილა ვსცდებით და ძმა ძმასვე
უსაფუძვლოთ უთხრის ძირსა.
„ჭირსა შინა გამაგრება
ისა უნდა ვით ქვიტკირსა„.
რკინას ცეცხლი აფოლადებს,
ადამიანს განსაცდელი;
ერთი წავა და სხვა მოვა...
ასე გვიწერს ეს სოფელი.
და მაშ ჭირი დღევანდელი
ნუ გაშინებს, ნურც გიკვირსა...
„ჭირსა შინა გამაგრება
ისე უნდა ვით ქვითკირსა“.

აკაკი.

კულტურულ მუშაობაზე.

—

იყო თურმე დრო, როდესაც ზრუნვა ცხოვრების საერთო გაუმჯობესობაზე ღმთაებრივ არსებათა მონოპოლიას შეადგენდა. მხოლოდ მათთვის იყო თურმე შესაძლო გაბედული ექსპროპრიაცია გაღვიებულ მუგუზლებისა ღმერთთა კერიდან კაცთა გასახარებლად. მერე კი ამ პრივილეგიას (მე ექსპროპრიაციაზე კი არა, კულტურულ ინიციატივაზე უფრო მოგახსენებთ) ლეგენდები ავრცელებენ მეფეებზედაც, პატრიარქებზედაც. ამათ უწევენ კონკურენციას წმინდენები და ბრძენთა-ბრძენ-

მორცხობა — ბობროვის ქანდაკი.

ნი (ვარსკვლავთმრიცხველნი). გაშინაურება პირუტ-ყვთა, კულტურა პურისა და ღვინისა, შემოღება ანბანისა, მოკვლა გველაშაპისა, კანონმდებლობა, ბაყ-ბაყ მდევთა ამოწყვეტა და სხვა ამგვარი დიადი საქმე სწორეთ დიდებულ გვამთ შეეძლოთ, მეტად-რე იმ სასწაულებრივ სიჩქარით, რომელიც აუცილებლად საჭირო იყო ყველაზე მეტად თვით ლეგენდისათვის, რომლისთვის ხანგრძლივი და მრავალ-პიროვანი სოციალური პროცესები მოსაწყენია დ. პროზ იკული.

ჟამთა ვიოარებამ მოგვიწამლა მშვენიერი ლეგენდები!

ჩვენს ვაგლახ დროში, მოგეხსენებათ, ფაა-ფუ ამირანები... აღარც სასწაული, აღარც ერთი გველაშაპი, აღარც ერთი ბაყ-ბაყ მდევი... აჰ, ბატონებო, ყველაფერს ეღება ბოლო ამ წუთი-სოფელში, მარქსისტებისა და ფედერალისტების ენა-წყლიან საუბარის გარდა! ან კი რას გააკეთებდნენ ამირანები ჩვენს დროში? კიდევაც რომ ეშოვათ კაცობრიობისათვის ზეციური საუნჯენი, კიდევ საკითხია, მოახერხებდნენ თუ არა შესაფერ რეკლამას? და თუ ვერ მოახერხებდნენ, რის მაქნისია გინდ ზეციური განძი ურეკლამოთ, უპროპაგანდოთ?

ნუ დაივიწყებთ იმ მეცნიერულ ფაქტს, რომ საქართველოში ადვილად ვრცელდება ჯერ-ჯერობით მხოლოდ „მკბენარი“ და სც.-დემოკრატი. სხვა რამე საუნჯე არ ემეტება ჩვენთვის ზეცასა!

ეს ღრმა-მეცნიერული გამოკვლევანი გვაძლევენ საბუთს ვიფიქროთ, რომ: 1) ქართველ საზოგადოებას ამიერიდგან მხოლოდ ქართველ საზოგადოების იმედი უნდა ჰქონდეს; 2) უამისოთ, თუ საზოგადოებრივი თვითმოქმედება არ განცხადებულ-და, რაიმე სიბინძურე თუ გაჩნდება, ბოლომ სხვა არაფერი.

დიაღ, აღარავის იმედი არ უნდა გვქონდეს, ჩვენივე საზოგადოების გარდა: აღარც სასწაულთ-მომქმედებისა, აღარც მებრძოლ დევ-გმირებისა და აღარც პარტიულ კომიტეტებისა!

ყველგან, მთელს მსოფლიოში, „კულტურული მუშაობა“ ღღითი დღე მჭიდროთ უკავშირდება „საზოგადოებრივ თვითმოქმედებას“, და ეს ორი წყვილი სიტყვა ერთი მეორის მაგიერათ უკვე ხშირად იხმარება. ამას ყველგან ხელს უწყობს კერძო, თავისუფალ ინიციატივის ბუნებრივი უპირატესობა კულტურულ შრომაში ბიუროკრატიულ ინიციატივის წინაშე.

რაიცა შეგვეხება ჩვენ, ქართველებს, ჩვენის უფლებრივ უძლურებით,—აქ ხომ სრულიად აშკარაა, რომ „კულტურული მოღვაწეობა“ ჩვენში წარმოსადგენია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენივე „საზოგადოებრივ თვითმოქმედების“ ფორმით: სხვა საღსარი მოქმედებისა ჩვენ არ გვაბადია, სხვა მთელი კულტურისა აქ არ არსებობს, სხვა „ხაზინა“, ჩვენივე გროშების გარდა, „ინოროდცების“ ეროვნულ კულტურისათვის არ დაიპნევა, სხვა სამსახური, ნებაყოფლობით სამსახურის გარდა, ჩვენს ქვეყანას თავს არ შემოევლება.

ეს ხომ უეჭველი სიმართლეა, რო ჩვენ მხოლოდ „საზოგადოებრივ თვითმოქმედების“ იმედი უნდა გვქონდეს, და მე მხოლოდ ის მსურს დავუმატო რომ, პარტიების მოქმედებ. თუ მოღვაწეობა, —გინდ შეთანხმებული მაინც და მაინც არ ჩაითვლება „საზოგადოებრივ თვითმოქმედებათ,“ როგორც ამას შემცდარად ჰფიქრობენ ჩვენი ფედერალისტები.

პარტიული კომპრომისები ვერაფერი ნიადაგია ერთსულოვანებისათვის, კომპრომისები საზოგადოებას სიცოცხლეს ვერ შთ ბერვენ!

საზოგადოებას კომპრომისი კი არა, მეცნიერული სინტეზი მოაქვს ღა ამ სინტეზით პარტიათა მოსპობაც. დიაღ, საზოგადოებას ფედერალისტებისა, ესდეკებისა და სხვათა პროგრესისტთა მორიგება თუ ენატრება, მხოლოდ იმიტომ, რომ როგორმე მოესწროს ისეთ ერთობლივ ძალ-ღონეს, რომელიც შესძლებს რისამე საზოგადოებურის და სამკვიდროს მიღწევას, თორემ კერძოდ კი ყველა პარტიები ეჯავრება, როგორც საერთო ძალ-ღონის დამაქუცმაცებელი; ძალად მაცხონე ოპეკუნები საზოგადოებას ცალკეც საკმარისად ეჯავრება და ერთადაც!

ახირებული მოთხოვნაა, რომ საზოგადოებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისივე მწეწელთა კავშირი იდღესასწაულოს... ცალკე ხომ გაგვაბედნიერეს და ეხლა შეერთებულ ძალით უნდა დაგვანიავონ, ერთის სიტყვით.

ან კი რა არის თვით ეს პარტიათა შეთანხმება? იგი ყოველთვის გარეგნულია და თუ ეს საკმარისია ხანდის-ხან საარჩევნო პლატფორმის შესაკოწიწებლად, ხანგრძლივ და ღრმა-მნიშვნელოვან კულტურულ მოღვაწეობაში ამნაირი ხუხულა ჩაიფუშება. ამიტომ სრულის პატივისცემის ღირსია ჩვენი მარქსისტების პირდაპირი სიტყვა: საცა კი „შევიჭრებით“, ყველგან ჩვენ „დუხს“ შევიტანთო და თუ რომელიმე პარტია გპირდება სხვა რამეს, ეს ან გაუგებრობაა, ან სიყალბეა საერთო საქმის ხელში ჩასაგდებადო.

დიაღ, საცა კი „შეიჭრებიან“ რომელიმე პარტიის ბიჭები და „ჯენტლემენები“, მყისვე იწამლება ატმოსფერა პარტიულ „დუხით“: ამ მოწამლულ ატმოსფერაში თავისუფალი მოქმედება ემონება თავისებურ დისციპლინას, საზოგადოებრივი რწმენა—პარტიულ იდეალს, თავისუფალი აზრი—პარტიულ ცენზურას, მიუდგომელი სამართალი—ბუშმენურ ეთიკას, სინამდვილე—დემაგოგიურ ჭორსა, ძმური თანბმრი საერთო საქმეზე—მუშტის არგუმენტებს. მეტათ თუ ნაკლებათ, მაგრამ ეს ყოველთვის ასეა.

მე მშვენივრად ვიცი, რომ ახალს არაფერს ვამბობ: თქვენ თვითონ გამოგიცდიათ ის ფერ მიხდილი უიმედობა, რომელსაც ჰგრძნობს ყოველი უბრალო ადამიანი, როცა რაიმე საქმეში „პარტიული დუხი“ შემოეპარება. მძიმეა, მომაკვდინებლია, ეს „დუხი!“

ამიტომ ჩვენ მთელი არსებით მივესწრაფით და ველით საზოგადოების ემანსიპაციას ყოველივე მბრძანებელ ოპეკუნებისგან, ყოველივე პარტიისაგან, „მმართველ კამარილიდან“ დაწყებული ახლად დაბადებულ პარტიის ნორჩ კომიტეტამდე!

მაგრამ ამ მისწრაფებაში ჩვენ გვასულდგმულებს არა ცალმხრივი თაყვანისცემა „პიროვნების“ წინაშე: არა, ჩვენ გვგონია, რომ შესაძლოა მეცნიერული ცნობა საერთო ნებისა და ამ ნების პირნათელი სამსახურს.

მე იმის თქმა მინდა, რომ აუცილებლად საჭიროა პარტიათა სამეფოში მოიძებნოს ერთი თავისუფალი კუთხე მაინცა... საზოგადოებისათვის...

პატარა კუთხე საზოგადოებისათვის, ღმერთო ჩემო!

ჩვენს რბედურ, სიკვდილის კარამდე მიყვანილ ერისათვის!..

ნორმა.

მთაო წმინდაო

(წაკითხული ილია ჭავჭავაძის საფლავზე 2 მარტს).

—

თბილისის მცველო, მთაო, წმიდაო,
შენ გაბარია დიდი მგოსანი,
კაცი მოღვაწე, ქართველთ მფარველი
უებრო მცველი, პატიოსანი!
მთაო, წმინდაო, შენსა ფერდობში
ბინა დაიდო ქართველთა მცველმა,
და დედა ქალაქს მკვდარიც სდარაჯობს...
ჯილდოთ ეს უძღვნა წყეულმა მკვლელმა.
მთაო, წმინდაო, აღმოსავლეთით
მზე რომ ამოვა ჯერეთ შენ გათბობს
და საქართველოს მზის სასაფლაოც
შენსა ფერდობსა ამშვენებს, ამკობს.
მთაო, წმინდაო ეგ შენი შვილი,
გულს ჩაგიკვრია, ვით საყვარელი,
და გვიდარაჯეთ ორთავ!.. უკვდავი
არს და იქმნების თქვენი სახელი!

შაქრო ნავთლუღელი.

ამირანი

—

მიჯაჭულია ფრიალო კლდეზე,
ყვავი-ყორანნი თავს დასჩხავიან,
უნისკარტებენ, მწარედ კორტნიან
მაინც ამირანს არ ეშინიან!
ბუმბერაზ მთასა კავკასიონის
შუბლი შეუკრავს, ჩაბნელებულა,
და ცის გუმბათი გოროზიანი
სულ-განაბული მიყურებულა!
კლდეს მიჯაჭულსა, ამირანს გული,
ვით რკინის გრდემლი გამაგრებია,
ტანჯვის ფიალას ხარბადა სუტავს
პირში ეტკბობა,—არ მწარებია!..
დაე, დასჭექოს ცამ მრისხანემა,
წამოუშინოს ძირს ცეცხლის წვიმა,—
ამირანისა გულ-ღვიძლი ჯიჯგნოს
გაუმაძღარმა შავმა არწივმა!
მაინც ამირან გულში იმღერის
წარბ-შეუხრელი სდგას სიკვდილ წინა...
გრძნეულთ ნანინამ, მწარე ნანინამ
სპეროზიის მთა მთლად მიაძინა!
დაჰკრავს დრო, გმირი შეიშმუშნება,—
მონობის ბორკილს დაჰკვნეტს, დაამსხვრევს,
ტანჯულს ქვეყანას მოევლინება,
უსამართლობას მოსპობს, დაანგრევს!

ნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადება და სიკვდილი

III*)

არე-მარე ჩვეულებრივ დათოვლილია; დათოვლილია სასაფლაოც.

სასაფლაო—ეს გარდაცვალებულთა ბინა, რომელიც ყველას აერთიანებს-აოანასწორებს: მთავარსა თუ გლახაკსა; მდიდარსა თუ ღარიბსა; მჩაგვრელსა თუ ჩაგრულსა; მძლავრსა თუ სუსტსა ბატონსა თუ მშრომელსა,—ისეა გადაფენილი თოვლითა, რომ არც კი განირჩევა საფლავი მატურიანი უმატუროთაგანა.

—

სასაფლაოზედ ახლად გათხრილია საფლავი. იქვე პატარა თეთრი კუბო სდგას. ხოლო კუბოში უნუგეშო დედმამის შვილი ასვენია—უდღეო—დაბადებული წუთით...

— „განუსვენე, შენ უფალო!..“—ეგალობებდა მღვდელი.

— „შვილო!..“—გულ შეღონებით ლუღლუღებდა დედა.

— „ჩემო იმედო!..“ მწარედ დუდუნებდა მამა.

— „ყვა. ყვა, ყვა“...—მოშორებით ზემოდგან დასჩხაოდენ ყვავები შემზარავის ხმით...

ჩაუშვეს საფლავში, წააყარეს მიწა „უდღეო დაბადებულ ბავშვსა“ და მღვდელმა პირჯვრის გადაწერით უსურვა:

— „მიწა ხარ და მიწათ იქეცი“...

ხოლო გამოცდილმა ბებიამ ჩვეულებრივად წაიდუდუნა:

— „უკეთეს ნაყოფს გამოიღებს... გამოიცადა მაგის მშობელი დედა...“

ს. გლახაშვილი.

ჩემი ცრემლი

ციურ განგებით გრძნობა-გონებით
ძეს ხორციელსა, გაჩენილს ქვეყნად
საწუთროების სევდა-ვარამი
შემეთვისება, მწვდება გულში ღრმად.
მეც მიორკეცებს სტიქიურ ღელვას,
ჩემთვისაც იგი უცხო არ არი
და სხვებთან ერთად, მის მწარედ დამწყ-
ვლელს
ჭეშმარიტებას ვუმზერ მტირალი;
თუმც თავს ვიმაგრებ, არა ვღვრი ცრემლსა
დიაცებრ, რაც გინდ იყოს ცხარია!
იგი სწვეთს გულშივ, შიგავე შრება
და თვალისათვის უჩინარია.

დემნა მროველი.

*) იხ. „ნიშადური“ № 27 და 28.

ქოლერწილი ერთობის დროს

—

სოკოლია კუნჭულიას, ამ გურიის წიქორიას, დიდი ქორწილი ქონდა... ათხოვდა სახლში გაზდილ მარინას, გოგოს, რომლის თხოვნას ათასი ნატრობდა, მაღალი წერწეტა ტანისა, შავ თვალ-წარბა ნაწნავიანი, (ცოტა გუნდა ლახუსტაკს ქე ხმარობდა, მაგრამ ეს ჩვენში დარჩეს). გეიზარდა ქალი; 18 წლის ქე იყო, ოზურგეთის პროგიმნაზია გადაგარგებული ქონდა. რომ გენახათ წითელ „ფორმაში“, თეთრ პერელინკა-ფართუკში, ისე იყო ჩაფსკვნილ-ჩარგვალებული... მის მნახველს ღამე ძილი არ ქონდა, და გათენებისას ბოდვას დააწყებიებდა... ასე დეემართა ერთ ახალგაზდი ყმაწვილს, ახალ თაობის კაცი იყო, თვარა ისე, როგორ გაბედავდა მის თხოვნას; რაც შეეხება გვარს, ვერ იყო მაინცა და მაინც კაი სახლის შვილი. გაზრდას თუ იტყვით—დედა მისი, ძიძათ იყო დეკანოზის სახლში, თვითონ ხშირ-ხშირად დადიოდა, დიაკვნობაც ქე იცოდა—იქნება ქე იცნობთ—სარდიონა ტაკიძე...

კვირა იყო; საჯვარის გალავანში შეხვდა... სკამი იყო და ჩამოჯდა... სარდიონმა არც აცივა, არც აცხელა, როგორც იყო გაბედა ბიჭმა და დაიყარა: „ჩემო სულო, ჩემო გულო, სიცოცხლისა კუნჭულო, გაფუჩქნულო მაისის ვარდო, დილის ნამო და ჭრილობის მალამო, მარიამ... აგია შენი კაი გოგონა, შველივით რას ფრთხი, რა დამიშავებია, შენ გენაცვალოს გურია—სამეგრელოს ეპარქია... ერთი მეც გამიგონე, ჩემო მტრედო... ათი წერილი გამიშრე—მეტი აღარ შემიძლია... მიპასუხე—რა ვქნა, რას ვარტყა შენგან მოძულებული თავი“...

—ჩემო... (დეიწვა და დეიდაგა გოგონა) ჩემო კარგო სარდიონ! შენ ქე იცი ჩემი გულის ნადები, მარა სოკოლია გიჟივით ღრიალებს, შენი სახელის გაგონებაზე.

„შენ ფიქრი ნუ გაქვს, ჩემო სულიკო! ხვალვე ვპერტყავ, ჩვენი პარტიის ბეჭედს და მგონია მთელი, მელექედური შეინძრას თვარა, სოკოლია ვინ გდია!

დასრულდა ლაპარაკი. პაიმანი „მოიდანახის“ ბოლოში დანიშნეს... ფიცს მიჰყვა ალერსი, მერე ხვევნა-კოცნა და მერე... მეორე დღეს, თოვლიან დარში, როცა ცეცხლის პირს, ახალ მოკლულ შაშვს შეექცეოდა, მიილო სოკოლიამ წერილი, ათის თავმა მოუტანა... ახტა-დახტა, აღრიალ-დაღრიალდა! რავა, ვიზდა ვაკალი თავი ამ გოგოს, ვისდა ვზარდე, ამას ქვია ახალი თაობა, ესაა მათი სამართალი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქართველი მარქსისტები

თურაშაულის მაგიერ
გარს მოსხმია პანტა-პუნტა,
შებლავიან ბადმობვიგდე
„კაპიტალის“ დიდი ბუდა!

მაგრამ მარქსი თვით მშიერი,
თავს დასცქერის გაკვირვებით,
ტანჯულია და ნაგმევი,
ის „ქართველი ესდეკებით“!..

ათისთავმა თვალები აბრიალა, ჯიბეზე ხელი გეიკრა... ესეც კმაროდა...

ქორწილის დღე დანიშნეს. ყველამ მიიღო მოწვევის უწყება: „ავხანიკებო! დადგა რა დრო ჩემი დამწიფებისა და იგრძნო რა ოჯახმა ჩემმა სიცარიელე, გადავსწყვიტეთ მოვიყვანო სახლში და მივიღო ავხანაკათ მარიამი — ასული სოკოლია კუნჭულიასი. გთხოვთ დამესწრათ და შეძლებისა დაგვარად პატივი მცეთ, კვირას 15 თიბათვეს, ჩემს სახლში დილის 12 საათზე, სოფ. ხვანში, რათაც დავრჩები მარადის დავალებული სარდინ ირაკლის ძე ტაკიძე“.

ასე 10 საათი იქნებოდა, როცა გეივსო ეზო სხვა და სხვანაირ სტუმრებით... რომელი ხის ქვეშ გინდა, რომ პატარ-პატარა მიტინგი არ ყოფილიყო... დაიდგამდნენ სკამს, ან ქვას .. ერთ ადგილას მამლის ჭურდს ასამართლებდნენ; მეორე ხის ქვეშ ახალი პროპაგანდისტი შმიტის დამარცხებას უხსნიდა ხალხს, იქვე ახლოს ფულს აგროვებდნენ, მისალოცავს რომ უძახიან მისთვის...

პირველი საათი იყო, როცა გეივსო სეფე სტუმრებით. წინედ სუფრის თავს მღვდელი ამშვენებდა, ეხლა ასის თავი პორფილე იჯდა.

ორ ცეცხლ შუა — ბრედტის ნახატი.

მოლიპულ გზაზე (პოლემიკის შედეგი).

ავხანაკებო!—გაისმა ახალ მოსულის მქუხარე ხმა:—დღეს ამ ოჯახში დიდებული დღეა, შეერთ დნენ ორი ჩვენი ავხანაკები მარიამი და სარდიონი, უსურვოთ მათ, რათა შეერთებულის ძალით იმოქ-მედონ ჩვენი მტრების დასამარცხებლათ...

ღვინო დეილია. მღვდელმა წიგნებში ჩასწერა ქორწილი, ფულიც არ მიუციათ...

დედავ ღმერთო, როგორ წეირყვანა და წეი-პილწა ეს დუნია, უეკლესიოთ ქორწილი პირველი გაგონებაა... აბა სთქვი რამე თუ კაი ბიჭი ხარ...

გაჩნდა სიმღერა, დაატრიალეს ყანწები, მერი-ქიფე ვერ ასწრობდა ღვინის დასხმას... ტოლუმბა-შათ ეირჩიეს რაფიელი... პოპოშნიკათ მამულის შვილი. წამოდგა რაფიელი და ღაღად ჰყო ხმითა ბოხითა: „ავხანაკებო და მოქალაქენო! დღეს არის დღე, შეერთებისა ჩვენის ორის ავხანაკის ბედისა, იქორწილეს ახალის კანონითა და უსურვოთ მათ, რომ ის წერტილი, რომელიც დაუსვამთ წინ თა-ვიანთ მიზნის მოხაზულობისთვის, ღმერთმა მათ მო-ახმაროს და მიადრეკინონ სურვილისამებრ თავისი-სა. ღმერთმა ინებოს, რომ მაგისთანა წევრები, ბევრი გვყავდეს ჩვენს წრეში.—გადავიდა ალავერ-დი—ეს გაუმარჯოს მეფე-დედუფალსაო!!.

იყო ხმები... გახშირდა „მრავალჟამიერ“ და გურული მარსელიეზა...

ვასო ურუშაძე.

ბ რ ი ბ ა ლ ი

—

ქარი მრისხანედ ღმუის, ღრიალებს,
მძლავრად აწყდება არე-მარესა:
მთებს თავს უვარცხნის მშფოთარე ხელით
და, ვით ზღვას, არყევს, აშფოთებს ტყესა.
ყვავი-ყორნები მთლად მიმალულან,
აღარ გაისმის მათი ყიალი,
არცა გაგეშილ მგლების ძუნძული
და საზარელი მათი ღრიალი.
— ტყეო, მომეო,—ღრიალებს ქარი—
მომეო შენი მავნე ცხოვლები,—
ამა ქვეყნიდან უნდა მოვგაო
უწმინდური და ავი სულები.—
ტყე პასუხს არ სცემს, მხეცთა მფარველი,
და მხოლოდ კვნესის შფოთავს, ზვირთდება,
თვის უძლეველს მტერს, გრიგალსა ქარსა,
თითქო კვლავ ებრძვის, არ ჰმორჩილდება.
მაგრამ მრისხანე ჩრდილოეთიდამ
შავი ღრუბლები ძირს ჩამოცურდა;
ქარმაც ღონივრად შემოჰკრა არეს...
ბრძოლა გაჩაღდა, ბრძოლა გახურდა.
აი დაასხამს ღვარძღაფი წვიმა,
ტყეს ნიაღვარი მოედინება,
ეს უწმინდურთა ბუდე, საფარი
განსუფთავდება, განიწმინდება.
და მის სიმშვენე ცხოვრების ჯამში
ბევრ სხვა სიმშვენეს ემჯობინება;

ვერვინ იფიქრებს, თუ რომ ოდესმე
ამ ტყეში ყარდა უწმინდურება!..
ქარი მრისხანედ ღმუის, ღრიალებს,
მძლავრათ აწყდება არე-მარესა;
მთებს თავს უვარცხნის მშფოთარე ხელით
და, ვით ზღვას, ირყევს, აშფოთებს ტყესა.

ი. მჭედლიშვილი.

ომის ღმერთი

(ფანტაზია მოსალოდნელ ომის გამო)

—

რუს-იაპონიის ომის დასაწყისის წინ, ომის ანგელოზები შეშფოთდნენ. მათი არსება მზრუნველობამ მოიცვა... ფიქრთა წყვდიდში გაეხვივნენ.

თვითვეული მათგანი სწუხდა: ვაი, თუ ჩემი ერის ღმერთს გამოსცდეს მზრუნველობა მომავალ ომში და... დარჩეს ხახა მშრალიო.

გაფრინდა ანგელოზი იაპონელ ღმერთთან გასაბთხილებლად. ნახა, განცვიფრდა! რას ხედვენ მისი თვალები?!

ღმერთი იაპონელთა ჩანთქმულია მოსალოდნელ ომის მოწესრიგებაში... ბრძნული სარისტით და მზრუნველობით ყოველივე დარგი მოსალოდნელ გამარჯვებისა წესიერად აქვს მოწყობილი.

ანგელოზს ნამეტანი სიამით გულმა ტრფობა დაუწყო.

სამშობლოს სიყვარულით აღსავსემ, გაკადნიერდა და მოახსენა:

— დიდ არს ძლევა-მოსილება და განგებულება შენი ღმერთო, მფარველ-პატრონო ერისა შენისაო. მომიტევენ კადნიერება უბადრუკ მონასა შენსა, თუმცა განვიცდი ღვთიურ შემოქმედების ბრძნულ ძალთა-ძალს, რომ ომისათვის ყოველი სამზადისი გიზრუნია, მაინც გევედრები მანუგეშო: დავრჩებით ომში გამარჯვებული? მოგეხსენება, მტერი გოლიათია'..

— ნუ სწუხ, შვილო ჩემო! უბძანა ღმერთმა. გაიხსენე ომი გოლიათისა გონიერ, მამაც დავითთან!

სადაც სიმართლეა, გონივრული გამრჯელობა მიმდევრ-მომდეკრობა, წრფელი, უანგარო სიყვარული სამშობლოსი და მისთვის შრომა,—გამარჯვება და სიხარულიც მისია.

ანგელოზი მიფრინდა ინგლისელთა ღმერთთან. იქაც იგივე ნახა, რაც იაპონელებისას...

ღმერთი ინგლისელთა ფხიზლათაა. ყოველი ზრუნვა მოულოდნელ ომისათვის სამაგალითო წესიერებაშია მოყვანილი და მეომარნიც დარაზმულნი სდგანან... მხოლოდ ბრძანებას ღა ელიან.

მამა ანგელოზს, აღარ შეაწყინა თავი ღმერთს შეკითხვით და, ზეზეურ გამოტრიალდა, გეეშურა რუსთა ღმერთისაკენ.

გზის სიშორისა გამო, სანამ ანგელოზი უწევდა, მანამდის მოულოდნელად ომი დაიწყო.

ანგელოზი ქათქათით მიიჭრა, არ დამაგვიანდესო და... გარინდდა ნამეტანი უსიამოვნო სანახაობით:

უზარმაზარ მცონარე ღმერთს უზრუნველად ეძინა. ტკბილად ხვრინავდა...

გულს დასწყდა ანგელოზს და მოწიწებით შეჰკადრა:

— თქვენო განცხრომით უმოწყალესობავ! კეთილ ინებეთ, გამოერკვიეთ ძილისაგან, დრო საშურია, უბედურება გადგიათ თავს!..

ღმერთს ხმა შეესმ , შეიშმუშნა და ისევ ძილს მისცა თავი.

— აღსდეგ, გამოერკვიე, მემრე გვიან-ღა იქნება. მოგეხსენებათ: „წამხდარსა საქმეს რას არგებს, ბოლოს-ღა ნეკზე კბენანი?“

ღმერთი გადაკოტრიალდა გულ აღმა, გაიშოტა და ხამუშ-ხამუშ მორთო ფშვინვა...

— სამშობლოს ძლიერება-დიადობა შებღალულია—რიხიანის კილოთი ჰკადრა ანგელოზმა.— სალ-კლდეზე დამკვიდრებულ კურთხეულ ტახტსა შენსას, თავხედთ მწიკვლი ჰკადრეს!

რაოოო!—ახლა-კი დაიგრგვინა ღმერთმა. რას როშავ, მოშლილ წისქვილსაებრ?!.. ვინ მიკადნიერდება: თავხედი, უძლური მღილი?! როგორ, თუ ომი? გავჭყლეტ!.. გივსრეს!.. გავანადგურებ ჩემს შეურაცხმყოფელს!..

მრისხანებდა, ჯერ კიდევ საზრს მოუსვლელი ღმერთი.

მოიფშვნიტა თვალები, გაიზმორა ჩვეულებისამებრ მამა-პაპურად და, ომახიანი დიდრაჯობით მადლი უბძანა ანგელოზს:

—კარგი, რომ გამომაღმიძე. ეეეფ!.. რა დიდ ხანს მეძინა! უ-უ-უ-ჰ! ისმუსნება... მაჯლაჯუნამ დამთენთა, დამაოსა! ტკბილი ზმანება კი საამოა!.. ჰოო! მაინც ყოჩაღ, რომ დროზე გამომაღვიძე.

— დროზე კი არა, თქვენო განცხრომილებავ- ახლა უკვე გვიანღაა! პორტ-არტური მტერმა უკვე დაიჭირა...

— რა ო ო ო? რას მიედ-მოედები, შე ბრიყო? როგორ, თუ პორტ არტური?!

— პორტ-არტური...

— რას ჩმახავ!

— !?

კოლა ასათიანი.

ჩ ი ვ ი ლ ი

—

როგორ გავჩუმდე ნეტავი, უმართლად გინკიცხულია,
ღბრალოდ ნატანჯ-ნადაგი, უზომოდ დაჩაგრულია,
უსულ-გულობის ძალისგან შვილდებრ ნაკაკვი წელშია,
თვალ-პირ აკრული უღმერთოდ, თოკ წაჭერილი ყელშია;
მაგრამ რას ვიზამ იქ სადაც ძალაა გამეფებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც გმირთ გმირის ბოროტის წინა ვირ გაკავებული,
სადაც მათს სიცრუე-სიყალბეს ვხედავ და გულით ვჭმუნდები,
სადაც თვით ცამდის მართალი ძალმომრეობათ ვმტყუნდები.
ვერაფერს ხერხსა და ღონეს ვერ გავუწოდე ხელია,
ვერ ივიშორე თავიდან ეს მკაცრი სატანჯველია.
დარდი და სევდა მახრჩობენ, მაჯა მეხუთვის საწყალსა,
გული ნისლებით აღსავსე უფრო მიმატებს ფანცქალსა
და თვით ამ მწარე დროსაც კი არა მაქვს მისი ნებაო,
რომ ჩუმი გულის წუხილის შევიძლო გაუქმებაო.
ეჰ, გულო, ბედშავ კაცისავ უკელი მწარე ძგერასა,
გრძნობავ—სიცხოვლეს დიადსა, თვალებო—მედგგრად მზერასა,
მკლავო—ძალ ღონეს, გონებავ—ფერად ფიქრებთან ბრძოლასა,
ენავ—ლაპარაკს, სურვილო—სასიქადულო ლტოლვასა;
ჩაფერფლ-ჩაჩლუნგდით მცირე ხანს, თმენას მოეცით ძალია;
მერმის ხომ მაინც წარმოვსთქვამ რაც წრეულს ანაკრძალია!..

ვ. თ—შვილი.

„ქართლელის“ სიმღერა

—

მო, მეგობრებო, შემოვკრბეთ,
გავაღოთ გორში დუქანი,
„კოპერატული“ დავარქვათ,
დედლდბიც ვჭამოთ მსუქანი...
ხომ მხედავთ გეურქ-აღასა
მჭირია ბლომად ფულები,
პარტიას თვალი დაუდგეს,
მოვცხოთ ჩვენ კრიმანჭულები.
გაუარ-გამოუაროთ,
ქანქარი ვკრიბოთ ძალზედა,
ჯერ აქ დავსუქდეთ და შემდეგ
წავიდეთ მაღლა მთაზედა.
საბალახოში წავართვათ
სუყველას თხა და ცხვარია,
ყაურმა ვჭამოთ, ბოზბაშიც,
იფ, იფ რა გასახარია!..
ასე ღიღინებს „ქართლელი“
და პირში მოსდის ნერწყვია,
ვაი, იმ ოჯახს, ვისაც კი
გეურქა რაზიმთ ეწვია!.
ალბად რომ იგი ყოფილა
„ხელის ჭუჭყისა“ მძებნელი,
და პარტიისა სახელის
შემლახველ-შემარცხენელი.

ნელიკო.

ამოცანა

გაზეთ „აზრის“ მოწინავე წერილებში ბატონი „ანი“ ამტკიცებს, რომ რუსეთის შემოსვლა საქართველოში, პროგრესის შემოსვლაა; ნაბიჯის წინ წადგომაა ხალხის საკეთილ-დღეოთ. საქართველოში რუსეთის შემოსვლა კი არ არის, არამედ რუსეთის „ბიუროკრატიის“ შემოსვლაა... რუსეთის „ბიუროკრატია“ მეფობს დღეს ჩვენში. გაზ. „აზრი“ ს.-დ. გმზეთია, ჩვენ უფლამ კარგათ ვიცით, თუ რა შეხედულობისაა ბიუროკრატებზე ს.-დემოკრატია. მაშ როგორ მოხდა, რომ ჩვენში წარმატება შემოიტანა რუსეთის ბიუროკრატიამ და თვით რუსეთში კი სიდატაკე, ხალხის სიბეჩავე, სიბნელე და დაჩაგვრა?..

ვინც ამ ამოცანას გამოიცნობს, იმას ძვირფას საჩუქარს მივართმევ, ძვირფასს ეურებით მოქედან „ანის“ გოგრას.

არაბი.

ნაოხარზე

—

რაღათ გვინდა ჩვენ სიცოცხლე ტანჯული და წამებული?!
ისევ ის სჯობს, მოვკვდეთ ყველა ბრძოლის ველზე თავდებული.
დღეს სიცოცხლე აღარა ღირს: ირგვლივ მტრები გვახვევია,
ძალადობა მძიმედ გვაწვეს, ყვავ-ყორნები გვასევია,
ავი სული ჩამოგვძახის: გაგიცრუვდათ ერთობაო,
დაგწვით და გაგანადგურეთ, მოგიშხამეთ ზნეობაო
ძაღლი პატრონს აღარ იცნობს, ყველა თავქვე ემხობაო,
რა ხელი გაქვთ უფლებასთან, გირჩევნიათ მონობაო!

დ—ს—შვილი.

აყალ-მაყალი

—

ფირუზა.— ამბობენ, დიდი აყალ-მ·ყალი და ორომ-ტრიალია „ესდეკების“ ბანაკშიო, მართალია?!

დარჩუა.— რაზედ, რა ამბავია?..

ფირუზა.— აი „ნიშ დურში“ რომ იბეჭდება „ხეობელის“ წერილები, „სოციალ-დემოკრატია სოფლად“, იმაზედ რაღა...

დარჩუა.— ეჰ, დალოცვილო, შეითან-ბაზარში, უსეინას ყავახანაში, ყოველ დღე იმართება დავიდარაბა და აყალ-მაყალი, მერე რა გამოვიდა?.. რაც მართალია—მართალია... აყალ-მაყალი ვის რას არგებს ან ვის შეაშინებს!

გ—გრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კაცი ვიყავ,
მერე კაცუნა,
მერე პოეტი
კალამ ცაცუნა,
ბოლოს-კი „ბოჩკა“
ხაშხაშიანი,
ეშმაკის თავით
ყურებ-რქიანი,
კვირაობითა
უშვებ მე ჩემს კრანს
ყველა ესდეკი
იქიდანა სვამს.

გაზაფხული

ზამთრის სუსხი ჩამოგვცილდა
მოჰქრის ტურფა გაზაფხული;
მოგვაღწია მისმა სიომ,
აგვიტოკა უცხოთ გული...
მისმა სხივმა მოგვანათა,
გადგვიყარა თვალთგან რული;
გვეწვია და თან მოგვიძღვნა
ერთობა და სიყვარული.
ჩაგრულმა რა დაინახა,
განეკურნა მკვდარი გული;
და შესძახა: ვაშა, ვაშა!
აუღელდა თანაც სული.
იქ ჩიტები აჭიკჭიკდნენ,
აგალობდა აქ ბულბული,
იქ ჩიორამ ჩიორასა
მიულოცა გაზაფხული.
ოხ, მიყვარხარ გაზაფხულო,
რადგანაც ხარ მშვენიერი;
ააყვავე ვარდ-ყვავილი,
უსულო და სულიერი!

პ. შელამბერიძე.

არ წაგცდეს

(ჭაკნელი „პროლეტარის„ საიდუმლო)

მე ჭაკნელი ვარ, ჩემი სამშობლო,
სწორედ თუ ვიტყვი, არის ჭაკანი,
მე იქ ვიშობე, იქ გავიზარდე
და იქ მირწია დედამ აკვანი.
მაგრამ რომ მკითხონ სამშობლო გაქსო?
უნდა უთხრა მათ ცივი უარი,
რადგან ქალაქში ვიღებ ექვს თუმანს
დღეს „ესდეკი“ ვარ და „პროლეტარი“.
შინ ვეზიდები ბაჯანღლო ოქროს—
სოფლად აღვმართე კარგი სასახლე,
„პროლეტაროობით“ ჩემი ცხოვრება
გავაფართოვე და განვაახლე.
ზურგი ვაქციე ძველებურ წესებს,
რაკი ახალი ცხოვრება ვნახე,
„ძირს კერძოობა და გაუმარჯოს
საერთო საქმეს“! მეც შემოვძახე.
სხვა რა მეხარჯვის, ამ სიტყვის მეტი,
ერთი მითხარით თუ გწამთ უფალი?
ფულებს კარგს ვიღებ, კარგადაც ვცხოვ-
რობ
და არც მაწუხებს ვისიმე ვალი.
ყოველ უქმი დღე სახლში დავდივარ,
მუქთად მეძლევა საგზო ბილეთი,
ჩემს საკუთრებას, ოჯახს, მამულსა,
დღითი-დღე ვმატებ და მწყალობს ღმერთი!
სანამ ერთობა დამყარდებოდეს
ან პროლეტარის დიქტატორობა
დიდი დრო წავა, მანამ იცრუე
აქე ცენტრი და დაგმე ერობა!

გერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ხუთ კარიანი ისტორია...

1) ტატნობი ცისა საქართველოსი სიბნელესა მოეცვა, არარა იყო მასში, არცა თუ ბნელი, არცა თუ ნათელი, არცა აწმყო, არცა წარსული.

მაშინ სთქვა პროლ. მოძღვარმან: იქმნას და შეიქმნას ცრუ ესდეკი და აღსრულდა სიტყვა მისი, იშვა ყრმა, რომელიც ქალამნით და გუდით მოადგა ქალაქს. ასრე იშვა მზე და განათლდა ბჟე საქართველოსი, რამეთუ სინათლე სიბნელეშიაც ანათებს!



2) და სთქვა მოძღვარმან: ჩაიცვას ყრმამან მან ბლუზი, ბლუზასა ზედა პინდჟაკი, თავსა ზედა სოკო დაიდვას, განაგდოს ფარაჯა გლეხისა და ასრეთ ივლტოდეს ქუჩებში. აღსრულდა სიტყვა მოძღვრისა და სხივი იგი ქუჩასა ეწვია!

3) და სთქვა მოძღვარმან: მოქალაქენო, შემოკრბით გარემო მისსა, რამეთუ მან გასწავლათ თქვენ. ტვინი მისი შეხურებულ არს ორითა „ბროშურითა“. აღსრულდა სიტყვა მოძღვრისა და შემოკრბენ გარემო ჯაბუკისა მოქალაქენი და ჰკვირობდნენ სიყბედესა მისსა!

4) და სთქვა მოძღვარმან: იყოს „გმირი“ ესე „გმირი“ ბრაუნინგით. და ეწვია მოქალაქეთ ბიჭუკელა ბრაუნინგით!

5) და სთქვა მოძღვარმან: გმირი ესე შუბლითა მაგარ არს, ხოლო მუხლითა სუსტი, რამეთუ მტერმან ხელსა თვისსა იგდო.

6) მაშინ სთქვა გაბოროტებულმან მარქსმან: ჰოი, სიბნელეო შერყეულთაო, რომელმან აღმოიღოს მახვილი— მახვილითვე წარწყმდეს, და იყოს ბოძი ეგე ჯილდო თქვენი!

პროვინცია.

სოხუმი (აქაური ცუდი და ავი). ჩვენი სოხუმის ცხოვრების ჩარხის უკან ბრუნვა პროგრესიულათა მიმდინარეობს. წინეთ გვიკიჟინებდნენ, რომ აქაურობა „ტუზემცებმა“ ჩაიგდეს ხელში და მათი სურვილზეა დამოკიდებული ყოველივე საქმის ბედიღბალიო. ეხლა მაინც „ტუზემცობა“ გაწმინდეს. ქალაქის ადმინისტრაცია გამოიცვალა. პოლიცმეისტერი ჩამოგვივიდა (მაზრის მმართველის უფროსი თანაშემწეთ ნამყოფი) ელისავეტპოლიდან. ბოქაული (მოხელედ ნამყოფი) ქუთაისიდან დანიშნეს.

დღე-ღამე ისე არ გაივლის, რომ არ გაიგოთ სხვა და სხვა გვარი სენსაციური მკვლელობა, ქურდობა და შანტაჟი. ამასობაში, აქაურ შოვინისტებსაც არა სძინავთ და ათასფეროვან ხმების გავრცელებაში, უნდათ ნიადაგი მოუპოვონ ეროვნული შუღლის გაძლიერებასა. ხოლო ცხოვრების უკულმართობა, არ ცხრება და თან და თან იზრდება.

ღამისით 7 თებერვალსა, ახალი ათონის მონასტირის დუქანი ვიღაცებს გაუქურდავს. წაუღიათ ორ-ასი მანეთი.

ორიოდე კვირის წინეთ, მეთუთუნე კურცმანის საწყობიდგან, ქურდებს გაუტანიათ 15 „კიპი“ (კიპი $2^1/_2$—4 ფუთია) თუთუნი. პატრონმა თუთუნი იმ დღესვე მოძებნა. ქურდებს თურმე მონაპარი შეუნახავთ, ქალაქის განაპირას მინდვრათ ცარიელ ქოხში. გახარებულ კურცმანმა, თავისი საქონელი წამოიღო და „პატიოსან“ ქურდის აღმოჩენა „სიამოვნობით“ მიიტოვა.

ამ დღეებში ვიღაცეებისაგან უსახელო წერილები, ფულის თხოვნითა მიუღიათ შემდეგ პირებსა: ბოგდანოვის თუთუნის ფაბრიკის აქაურს წარმომადგენელ ბ-ნ კომნინოს, აქაურ ვაჭარ ა. ა. ტეკმიჩოვს, ექიმ აპირანტის, მეთუთუნე ბოსტანდჟოგლის და სხვასა. პირველ პირისაგან, როგორც ამობენ, უცნობებს მოუთხოვნიათ 40,000 მან. და ვადა მიუციათ ამ წლის მარტის ბოლომდე, თუ „თხოვნა“ არ შეასრულა დამუქრებიან.

22 თებერვალს ადგილობრივი შვიდი მონადირე წასულან სანადიროთ, მდინარე „გნილუშკასკენ“. ტყეში მონადირეთა და ვიღაც ჩასაფრებულ პირებს შუა ატეხილა საშინელი „ბომბადიროვკა“. შედეგი ორი მონადირე მძიმედ დაჭრილა და თან თოფებიც წაურთმევიათ. უცნობი მსროლელნი „მშვიდობიანად“ მიმალულან.

ამის წინა დღეს, ოჩამჩირის რამოდენიმე შეზარხოშებულ „მოწესრიგეთ“. ღამის ორ საათზე ზოგი დუქნები გაუღებინებიათ, უსვამ-უჭამნიათ, „ობისკიცა“ მოუხდენიათ, თუ რამ იარაღი ენახათ, წაუღიათ, იქაურობა მიულეწ-მოულეწიათ და თავხედ მოწანაალმდეგენიც „ლოთიანათ“ უცემნიათ!..

რამოდენიმე დღის წინეთ, ქალაქის განაპირად ტომარას დაჩას მახლობლად უპოვნიათ ვიღაც ჩოხოსანი კაცი თავ მოჭრილი. მხოლოდ თავი კი იქ არ აღმოჩენილა.

23 თებერვალს, „ლაფერმას“ ამხანაკობის აქაურ თუთუნის საწყობიდან, ქურდებს წაუღიათ ოც-და-ათი კიპი თუთუნი. როგორც ამბობენ, ეს ქურდობა წინა დამეს ჩადენილი ყოფილა. სასაცილო ის გახლავსთ, რომ სხვის ქონების მოყვარულებს, პოლიციის სამმართველოდან „პოჟარნი“ კიბე მოუტანიათ და ამ კიბით განუხორციელებიათ ქურდობა.

როგორც მკითხველი ხედავს, მშვენიერი საქმეები ხდება ჩვენ კურთხეულ მხარეში. რით დაბოლოვდება ყველა ესა, მარტო ალლახმა უწყის!..

ამბობენ, აქაური პოლიცმეისტერი, ქუთაისის გუბერნატორისაგან, განსაკუთრებულ უფლებით აღჭურვილი დაბრუნდაო. ყველა აღმოჩენილ შანტაჟისტებს და ბოროტ მოქმედთ სასტიკი სასჯელი მოელით.

ჰეშმმრიტად, იყვნენ შავდრონი, მაგრამ ამაზედ შავ-ბნელი არ მოგვლივნებია!

ბ. ტ—შვილი.

რაჭველის წერილი. სანახავთ სანატრელო ძვირფასათ მოსაგონარო, სიზმრათ ნახულო, ცხადათ ნატრულო „ნიშადურის“ რედაქტორო. ქვე შენ შეგეწევა ჭი, ჩემი სამას სამოცდა-სიმი წმინდა გიორგი, სამას სამოცდა-სამი კი არა, სამას სამოცდა-ოთხი წმინდა გიორგი. ქვე კიღამე არ დამავიწყდა, ჭი, წასულ წელს ერთი წმიდა გიორგი რომ მოგვემატა რაჭველებს—ევგენი დვალი.

ჰო და შენ შეგეწევა მადლი და ძალი, აღირსე ჩემ პატარა წერილუკიეებს გაზეთში დაბეჭდვა; შე კაი კაცო ქვე სად გავაცოცხლო შოთა რუსთაველი, რომ იმას დავაწერიო რაჭული ამბები ჭი, ქვეც რომ შემეძლოს მისი გაცოცხლება, ქვე რავა მოინდომებს გაცოცხლებას, იმასაც გაგებული ექნება ჭი, ახლა მთელი ამბები ვინც გვყავს ეხლა ცოცხალი მწვრლები იმასაც აღარ აყენებენ, ზოგს ქვე კლავენ, ზოგს ქვე ლანძღავენ ჭი.

ხან წერულუკა მოგწერე, ხან ლეკსუკა, პირველად ქვე მწყალობდით, ახლა აღარაფერი აღარ მიიკარეთ ჩემი. ქვე ბველი ხომ არ შემიწვამს შენთვის, შე კაი კაცო! ყოველი მხრიდან იბეჭდება ამბები და რაჭიდან კი არაფერი, მარტვა სირცხვილია შენი, ჩემო რედახტორო, თვარა მე ქვე რა მენაღვლება ჭი, ქვე რა კაი დრო ეხლა არი: თუ რამე დასწერე მთავრობაზე არხანგელსკს გაჩვენებენ, თუ კნიაზებზე დასწერე რამე მათ ხანჯალ-ლევერს ვერ გადაურჩები.

ბეჩა, ქვე რავა ღმერთი გამიწყრება. რავა შეგაწუხებდი, მარა ხელფეხი ნუ მომიკვდება, ჩემმა მზემ, აქ ბევრი საქმე ხდება „სანიშადურე“ და ხან და ხან მინდა თქვენ მიერ მოგონილი „ნიშადური“ ამოვსცხო ხოლმე.

ამას წინეთ ჭი „ნიშადურის“ 25 №-ში უკანასკნელ გვერდზე დახატულია ტაპკით ოთხი-ხუთი კაცი მიჰყავთ საღაცა. შე კაცო, თუ დანაშაულები არიან ი კაცები ჭი, „ნიშ-დურს“ ამოსცხებდი, თვარა ქვე დაეჩვიენ სეირნობას და მათი ზიდვა წენს მოგწყვეტს-ყე ჭი.

ამ წერილს რომ ვსწერდი, თავზე დამადგა ჩემი ბებერი დედია და მითხრა: ქვე ვისა სწერ მა წერილუკასო. მე ვუთხარი: არავის ჩემო დედია, საგაზეთო წერილუკა არი თქვა. დედაშვილობასაო,—მითხრა—გლახა არაფერი დასწერო, ან მთავრობაზე, ან თავადებზე, თორემ ორივე სახიფათო არიანო. აბა ვიზედ დავსწერო თქვა!—ვუთხარი დედიას. ვიზედ შვილო და ამ საწყალ ბლეხებზეო. მე ვუთხარი: ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩა დედია, ქვე კი არ იცი, რომ არც გლეხებზე გვანებებენ წერასა თქვა. ქვე ვინ გიშლისო... ვინა და ს.-დემოკრატები თქვა,იგინი დაეპატრონენ ბლეხებსა თქვა. თუ ვინმემ რამე დასწერა მუშა ხალხზე, იგიმი მაშინავე ბურჟუას პარტიას დაუძახებენ თქვა. ისე იმათ შეეწევა შვილო ჩვენი სამას სამოც-და ოთხი წმიდა გიორგი—ჩვენი მეზობელი გლეხები ბურჯუები იყონო.

რაჭველი შურდული.

გორელი პესტალოცი

ოჰ, ეს გორის პესტალოცი!..
ქვეშ-ქვეშა და გასაოცი,
თვის უფროსებს თავს ევლება
არ მოაკლდეს თვისა ოცი.
ხან გიცინის, ხან გიბღვერის
ერთი რაღაც მასტაოცი!..
ქართველების არა სწამს რა,
არ მოაკლდეს თვისა ოცი.
ქართლის ქალი, გორში სწავლობს,
ასია თუ, ას ორმოცი,
ამათ ყველას ეზიზღებათ
გაიძვერა პესტალოცი.
მთლად ქალები ამას ჩივის,
ცრემლით ავსეს ხელსახოცი
თუ მოსარჩლე არის ვინმე—
მოგვაშორონ პესტალოცი!!.

გორელი.

გურულის პასუხი

გურულ კაცმა მიგვიწვია
მეგობრები საკალანდოთ.
დიდებულათ გვიმასპინძლა,—
გავიწვიეთ საკამათოდ...
ჩვენ ვუთხარით:—სად გურული,
დარდი-მანდი, მკვირცხლი, მარდი,
და ზლაზვნითა მოარული
ეს სოციალ-დემოკრატი?!
—„აი, და, მაგი ვერ მიხდით?!
გაგიგონიათ:—მეფესა,
როცა გუუწყდა ძაღლები,
კატები ოუყეფესა! .
ყველაკა ყურებს იცობდა,
როცა აჩხავლდა კატები!
მისი არ იყოს, ჩხავიან
სოციალ-დემოკრატები...
მარა გურული მიხთება—
ქე ამოუსობს ნიშადურს!
ჩემო ძამია, ნუ გვეტყვით—
პაწა გვადრუვეთ—საყვედურს.“

თომა პუსა.

წერილები რედაქციის მიმართ

პასუხი. ბ-ნო რედაქტორო! გთხოვ ამ ჩემ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ ჟურნალში. „ნიშადურის“ მე 25 №-ში მოთავსებული იყო ჩემს შესახებ ტატლუს მუშების, მინდობილობით, სავი მუშის წერილი (თუმცა ბ.. А. Вардзелашвили მუშა არ არის) მათი წერილის შინაარსი არა ახალია—ძველია. ისინი სწერენ: „მერკური“ სამედიატორო სამართალში გამოვიწვიეთ, მან (მე) 25 დღის ვადა მოგვცა,“ ამაზე ერთხელ მოგეცით პასუხი და ახლაც იძულებული ვარ ისევ ის გიპასახოთ: „გარემოება ხელს მიშლიდა, მაგრამ სამედიატორო სამართალზე უარი ხომ არ მითქვამს. იგი მე დავნიშნე წასული წლის 26 დეკემბერს თფილისში, მარა ნუ იტყვით, თურმე მე „ხერხები ვიხმარე“—თფილისი ჩემი „სამფლობელო“ ყოფილა და იმიტომ დამინიშნავს აქ. „საიდგან შეეძლო 38 მუშას თბილისში ჩამოსვლა, რავა მუშაობაზე ხელს ხომ ვერ აიღებდაო“—წერენ მუშები. ერთი რომ მე განვებ ამოვარჩიე უქმე დღე, როდესაც თქვენ არ მუშაობდით; მეორე, ყველასთან საქმეს ვერ დავიჭერდი; მესამე, როცა მე თქვენ სამედიატორო სამართალში გამომიწვიეთ, აი იქ სხვათა შორის რასა სწერდით: „ბ-ნმა მერკურმაც დანიშნოს სამი მედიატორე და **ადგილი**, სადაც შეიყრებიან საქმის გასარჩევად (იხ. ისარი №158) მაშ ადგილის დანიშვნის უფლება ხომ ჩემთვის მოგბინიჭებიათ! ნებას კიდევ ყურადღებას არ მივაქცევდი და თქვენ „სამფლობელოში“ დავნიშნავდი, მაგრამ ანტონ ტყემალაძისა და ულმობელს შორის მომხდარი სამ. სამარ. და იქ ანტონა ტყემალაძისაგან ჩადენილი საქმეები ძაან კარგად მახსოვდა. მეორე, მე პირადათ დამემუქრა ანტონა ტყემალაძე შემდეგი სიტყვებით: „ეს ულვაში არ მსხმია, თუ შენი თავი პოლიციას არ დავაჭერიოვო.“ ამ სიტყვების შემდეგ ვინ მაძლევდა გარანტიას, რომ ჩემი მედიატორებიანათ, ან თავებ დახეთქილი, ან და ჟანდარმეგისაგან, რომლებთანაც ბ. ანტონა ყოველთვის ძმურ განწყობილებაშია, გაქაჩულს აქეთ—ჩემ „სამფლობელოსაკენ“ არ გამომისტუმრებდენ. 26 დეკ. გელოდეთ, მაგრამ არ მოგბძანდით. აწ თუ კიდევ ინებებთ, კიდევ დაგინიშნავთ ღროსაც, მხოლოდ ჩემ „სამფლობელოში.“ რაც შეეხება მადეთ სამედ. სამარ. დანიშვნას, ამაზე არასოდეს არ დაგთინხმდებით, რადგანაც აქეთ თუ ჩემია, მანდეთ ანტონა ტყემალაძის „სამფლობელოა“.

რომ მკითხველი საზოგადოება რაიმე გაუგებრობაში არ შევიდეს და რომ იკითხოს, ვინ არის ანტონა ტყემალაძე და ან რა დამოკიდებულება აქს ამ საქმესთანო, ამიტომ საჭიროდ ვთვლი ამ ვაუბატონზე ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ამას წინათ ჩემი წერილი იყო ერთ ადგილობრივ ჟურნალში მოთავსებული, რომელშიდაც ანტონა ტყემალაძაზე ვსწერდი, თუ როგორ უდიერათ ეპყრობოდა იგი მუშებს. გამოვიდა რა ჩემი წერილი, ანტონას მოხვდა, რო იტყვიან, за больное мѣсто. აქეთ ეცა, იქით ეცა და ბოლოს ერთი „ხერხი გამოხერხა“. გაიჩინა თავის მუშებშივე მოყიდული აგენტები, როგორც არიან მიხა გიორგაშვილი, А. Вардзелашвили, გრ. აბაშიძე და სხვა. პირველს ჯამაგირი მოუმატა სხვა მუშებთან შედარებით; მეორეს, (მუშა არაა—აფროსია) ჯამაგირიც მოუმატა შა მშვენიერ კაზარმაში გადიყვანა. (უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ვაუბატონი მარჯვენა ხელი იყო და არის ანტონასი, ნამეტურ მუშების ჩაგვრაში); მესამე მისი ცოლის რაღაც ნათესავია, უნის სახლში და

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიძესა და
სიმამრისშვილთ
შიგ შეუბამთ
„ლას-უანი“
ეტლი ორის
მეტად მძიმე,
სამ გოდორა
ნაგვიანი...
და „სპერანსკის“,
რადგან თვითაც
უყვარს წუმპე,
მოსდის თვალში,
თვის პატრონთაც
ის მიათრევს
ლიტერატურულს
ტალახში!..

ჯამაგირს ტყუილა იღებს. ამ გვარად გაიჩინა აგენტები. ჯერ-ჯერობით ეს საკმარისია ანტონა ტყემილაძეზე. შემდეგში კიდევ თუ საჭირო იქნება ნათლად გამოვააშკარავებ ამ ვაკბატონის ფიზიონომიას.

„მერკური.“

ერთი მოგზარებული კორესპოდენციის გამო

ბ-ნო რედაქტორო, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს:

„ცისკრის „მე-10 ნომერში (22 იანვრს) მოთავსებული ყოფილა წერილი ჭიათურიდან ბ. გამწარდაშვილის პსევდონიმით. სიშორის გამო დროზედ ვერ მოაღწია ჩემამდის გაზეთმა. ხსენებული კორესპოდენტი მე და ჩემთან ტრიფონ ჩაფიძეს, ერმილე მიქაცაძეს და თადეოზ მოდებაძეს რეაქციის ღვიძლ შვილს გვიწოდებს და ხულიგანების ორგანიზაციის მეთაურად გამოვყევართ.

ეს ცილის წამებ, სრულებით არ მაკვირვებს, მე რომ ესდეკათ მეღიარებინა თავი, დარწმუნებული ვარ, რაც უნდა ჩამედინა, ხულიგანი არ ვიქნებოდი.

ბ. გამწარდაშვილის ცილის წამებას საზღვარი არა აქვს: იგი ბრძანებს, რომ ისედაც გაძვალტყავებულ ხალხს ვითომც მე ჩემის ამხანაგებით სამ-სამ მანეთს ვახდებინებდით. იმედია ბ. გამწარდაშვილო ამას დამიმტკიცებ, როგორც სიმართლისათვის თავდადებული ახალთაობის კაცი. ხოლო მე კი, ჩემის მხრით დავამტკიცებ, რომ არტელი, რომელიც 467 კაცისაგან შესდგება დიახაც მოქმედობს და ამ არტელში ადგილი ახალ მუშებს მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როდესაც ისინი რამდენიმე თუმანს გარდაიხდიდენ,— ე. ი. მუშა ყიდულობდა თავის ადგილს. აი სწორეთ ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ მე რამდენსამე სოფლების მონდობილობით, როგორც იმათ ვექილმა, მოქმედება დავიწყე ზემოდ ხსენებული არტელის გაუქმების შესახებ, რათა მომესპო ის მონოპოლია, რომელიც სუფევს დღეს ჭიათურაში. ამით, რა თქმა უნდა, საქმე ნოწესრიგდებოდა: სამუშავარი ყველას ერგებოდა და არა მარტო ერთის ჯგუფის სათლელ დუმად გახდებოდა.

დასასრულ, ბ. გამწარდაშვგლო, კვალად გთხოვთ დაგვიმტკიცოთ, რომ მე და ჩემი ამხანაგები რაღაც საწევრო ფულს ვახდევინებდით ხალხს. ხოლო გიმეორებთ, არ დაივიწყოთ, რომ მაგისთანა ხარკებს და ბაჟებს თქვენ და თქვენისთანა პარტიის არა მკითხე წევრები აძრობდნენ ზურბიდან საწყალ ხალხს და საკუთარ ჯიბეებს ივსებდნენ.

ველით უტყუარ საბუთებს.—პასუხის მოლოდინში.

კოწია (იგივე კალისტრატე) **ულენტი.**

ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერავს, ყველას უფასოთ გაეგზავნებათ „ნიშადურის კრებული“ და აგრეთვე **ი. ჭავჭავაძის** დიდი სურათი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი და ყველა ძველი №№-იც.

რედ--კომპრემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული, მუხრანსკია სახლი № 1.